საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

№ 14/10/294 "08" 02 2017 წ.

გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისის საჯარო სკოლის

დირექტორს ნინო გარსევანიშვილს

(მის: გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. შინდისი., 577 92 25 71)

ასლი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან შემოსული თქვენი 2016 წლის 15 დეკემბრის №23485 კორესპონდენცია (სააგენტოში რეგისტრაციის №2340, 22.12.2016) თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. შინდისის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე შენობა–ნაგებობების დემონტაჟისა და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების დადგენის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა წერილში მითითებული შენობა-ნაგებობების ადგილზე შესწავლა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შენობები ამორტიზირებულია და არცერთ მათგანს არ გააჩნია ისტორიული, მხატვრული და კულტურული ღირებულება. შესაბამისად, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნულ ნაგებობებზე განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი
მოადგილე

პაატა გაფრინდაშვილი